

F 24
1888

თ ე პ რ ი

საყოველ-ქვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა

№ 40

ოქტომბერი 23

გაზეთი ლირიკა: ერთის წლ. 5 მან.,
ნახევ. წლ. 3 ქ., ცალკე № 15 ჸ.
ხელის მოწერა მიიღება: თბილის-
ში, რედაქციის კანტორაში. ფოთ-
ში ბესარიონ კალანდაძესთან. ად-
რესი გარეშე მცხოვრებთათვის: თიფ-
ლის, ვხ რედაქციი გავეთ „TEATRЪ“. გაზეთი ისყიდება:
თბილისში, ჩარევანის წიგნის მაღა-
ზიაში და ბ-ნ ხიდეელითან—გო-
ლოვინის პროცესზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-
ლები (კორექტონდენცია) გარევ-
ვით უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-
ჭიროება მოითხოვს წერილებს რე-
დაქცია შეასწორებს. რედაქცია არა
კისრულობს წერილების უკან გაზ-
ხვნას და მათ შესახებ მიწერ-მო-
წერას.

უკველ წერილში უნდა იყოს
მოხსენებული: სახელი გვარი და
საცოვრებელი ადგილი დაწერისა

ა ხ ა ლ ი ა შ პ ე ბ ი.

17 ოქტომბერს. ხარგოვიდამ ჰეპეშით აუწყებენ გაზეთებს.

დღეს დილის თორმეტს საათზე, ხარკოვს მოფიდა საიმპე-
რატორო მატარებელი. ვოგზალზე ელოდებოდნენ წარმომად-
გენელი უველა წოდებისანი: სტუდენტებისა, ინსტიტუტებისა
და გიმნაზიების ხორომ აღასრულა საერთო საგალობრელი. პურ-
მარილის მიღების შემდეგ თავად აზნაურობისაგან, ერობისაგან,
ქალაქისაგან, ვაჭრებისაგან, გლეხობისაგან და მოქალაქეებისაგან,
მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ სა-
ვადმყოფოებში, სადაც იმყოფებიან დაჭრილები 17-ს ოქტომ-
ბერის უბედურის შემთხვევის დროს. ხალხი სიხარულით აღივ-
სო, როცა იმპერატორი უვნებელი იხილა. ხელმწიფე იმპერა-
ტორმა იხილა რა აღტაცებული და სიხარულით აღვისლი ხალ-
ხი, ბრძანა: «მე არასოდეს არ დავივიწყებ ამ მოვებებას, მად-
ლობელი ვარ, მადლობელი ვარ». როცა თერთმეტი საათი

66

და 34 წუთი შესრულდა, საიმპერატორო მატარებელი წავიჭროდა მოსკოვს. ხალხში გაისმოდა ლოცვა-კურთხევა, «ურას» ძანილი და საგალობელი «აცხონე, უფალო, ერი შენი».

რომი. მეფემ გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს დეპეშა და მიულოცა შევიდობით გადარჩენა. ხელმწიფე იმპერიტორმა მა-დლობა შეუთვალა.

ოთხშაბათს, 19 ოკტომბერს, ბანკის თეატრში წარმოდგენის დროს, მიიღეს თუ არა ტელეგრამმა მათ უდიდებულესობის შევიდობიანათ გადარჩენაზე, ანტრაკტში. ოკესტრმა დაუკრა «Боже царя храни!» სალხი მიეგება დიდის სიხარულით და ტაშის კურით.

მთავარ მართებლის ბძანებით ბ-ნს გუბერნატორს მიუკია ქალაქის თავისათვის წინადადება, რომ შეატყობინონ მას, თუ რა განჩინება დაადგინა ქალაქის კრებამ ახალი თეატრის შენობის დასრულებაზე, და თუ ქალაქის საბჭოს ეს საქმე არ განუტჩევია, მაშინ შეატყობინოს რა მიზეზია, რომ აქამდინ დასრულებული არ არის შენობა. ამაზე ქალაქის თავმა, როგორც ჩვენ შევიტყეთ მოახსენა, რომ, კითხვა, ამ საქმეზე შეტანილი იქნება ქალაქის საბჭოში ამ თვეს 21-ს.

ჩვენ მიეიღეთ დასაბეჭდათ, აფიშა რომლიდგანაც სჩანს, რომ პარასკევს, 28 ოკტომბერს ვასილიევის ბალში «ქარ-თული სცენის მოყვარე ქა. რობერტიძის (!!) სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება—«დამნაშავის ოჯახი», «სგანარელი», ბოლოს «დივერტისმენტი და საერთო ლეკური». ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. თარხანოვისა, რობერტიძისა, გურამოვისა, რჩეულოვისა, ბბ. ინასარიძე, კანდელაკი, «ფუთა-თელი», მცხეთელი, გელიკურიშვილი, მაისურაძე, ლუარსაბიძე და სხვანი. ვისაც ჰურს... შეუძლიან მიბძანდეს!!.

აქტიორის ცხოვრებიდამ

ბენეფისის წინა დღე.

— მოგილოცავ, ვასილ, მომავალს ბენეფისს! შემოსავალი უსათუოდ კარგი გექნება, ეუბნებოდა ერთ-ამხანაგთაგანი ვასილს. ვასილი იდგა არა მდიდრულად. მორთულ «ნომერში». სწორეთ ამ დროს ქალაქში აკრავდნენ ფერად-ფერად აფიშებს.

— ღმერთმა ჰქნას: მიუგო ვ—მა.

— რაღა ღმერთმა ჰქნას, რომ შემოსავალი კარგი გექნება, ამაში ეჭვი არ არის! არწმუნებდა მეორე. ბიჭო ამ გვარი აფიშები მკვდარმა რომ წაიკითხოს, ისიც კი წამოვა თეატრში, თორებში ცოცხალი რას გაუშვებს!

— აფიშებს დასველება («მაღარიჩი») უნდა, ვასილ,—უთხრა მესამებ.

— ეგ ადვილია, მიუგო ვ—მა. თედო! დაუძახა სასტუმროს მსახურს.

— კიდევ რაღა გინდათ? მწყრალათ შემოსძახა თედომ.

— ერთი ბოთლი ღვინო და რამე შესატანებელი.

— რის ღვინო? აღა ამბობს: სანამ ანგარიშს არ გამისწორებს, არასფერს მივცემო.

— «არ მივცემო?» ხა, ხა, ხა! აქ მო შე რეგვენო! მიუტანე შენს აღას ეს ანგარიში (ვასილი აძლევს თავის საბენეფისო აფიშას). ვნახავ, მოგცემს თუ არა! მსახურმა გამოართვა აფიშა, გადაათვილიერა და გავიდა. ისევ ჩქარა დაბრუნდა და შემოიტანა დიდი დოქი სავსე ღვინოთი და შშვენიერის საუზმით.

— მოსარეცხე მოვიდა თქვენთან, უთხრა მსახურმა.

— აქ შემომიყვანე.

— თქვენი ნახვა კი არ უნდა იმას, ფულისთვის მოვიდა.

— სულ ერთია, აქ მომიყვანე!

მსახურმა შემოიყვანა დედა კაცი ცარიელის კალათით.

— შენ რაღა გინდა დედი? ჰკითხა ვ—მა.

— განა არ იცით? — ფულები!
 — შენ კითხვა იცი?
 — ნუ გენალელებათ! ფულების დათვლაში თქვენ არ მოვი-
 ხმარებთ!

— რას სულელობ! ხვალ ჩემი ბენეფისია, ე. ი. ხვალის
 წარმოდგენიდამ რაც ფული შემოვა — სულ ჩემია. გაიგე? მაშ
 ზე მოდი, ეხლა კი წაიღე ორი პერანგიც, მაგრამ ხვალისთვის
 მზათ უნდა იყოს. — გესმის?

— რადგან თქვენი ბენეფისია, რა გაეწყობა, ამასაც გავ-
 რეცს.

ხვალ სალამოსთვის უსათუოდ მზათ უნდა იყოს,

— კარგი, კარგი. დასთანხმდა მჩეუხველი და გამოვიდა
 ოთახიდამ.

— ეხლა კი წავიდეთ ლონდონის სასტუმროში. იქ მშვე-
 ნიერი საჭმელია და ნისიათაც მენდობან.

— ეს სწორეთ კაი მოგონება! წამოიძახეს ერთ-ხმად და
 დაიძრნენ ადგილიდამ.

— თქვენ პირ-და-პირ «ლონდონში» წადით. მე და გიორ-
 გი ცოტას ხნით ურიას დუქანში შევალთ, რომ ხვალისთვის
 ახალი შარვალი გამოვართვა მიუგო ვ—ა.

მთელმა კრებულმა შეუხვია, იმ ქუჩისკენ, სადაც სასტუმ-
 რო «ლონდონია», ვ—სილმა და გიორგიმ ურიას დუქანში
 გასწიეს. ურია კარებთან დახვდა.

— გამარჯობა! შორიდამ დაიძახა ვ—მა. არ შეიძლება, შარ-
 ვალი მომცე? ხვალისთვის მინდა!

— რატომ არა, მაგრამ თქვენზე ცოტა გროვებია, თუ
 გახსოვთ.

— შენ ეს ნახე? მხიარულის სახით ჰყითხა და უჩვენა თა-
 ვის საბერეფისო აფიშა.

— ჰმ, ჰმ! როგორ არა: ესეც არ იყოს თქვენთან რა და-
 მექარება. თქვენ, ბატონო, პირველი «შორტის» შარვალი
 გნებავსთ? ერთი შარვალი მაქვს თავის ჟილეტით თქვენთვის

ମୋହିତାଦୟେବୁଲି, ମିଶ୍ରଗା ଉତ୍ତରାଧି ଅଭିନୀତ ଦାକ୍ଷମାୟନ୍ତ୍ରିଲ୍ୟ-
ବୁଲମ୍ବ ଉଠିବାଥ.

— କାରଣ ଫୁଲ୍‌ଫୁଲ୍‌ପିପ ଶେଖେଇତ. ନାହାକିରି ତାନ ଫୁଲ୍‌ଦେଖ ଦା ଗାୟମ-
ଶ୍ଵାସକିରିବ «ଲାଙ୍ଘନିଦରନିବ» ସାବୁନ୍ତମହିନୀଶି, ସାଦାପ ଅମ୍ବାନାଗ୍ରେବି ଉପ-
ଦିଲ୍ଲିନ୍ଦର. ଶ୍ରୀଲାଭିନୀ ଗାଢାଶୁଲି ପ୍ରିୟ, ହରଦେଶାପ ଲ୍ରେଣିକିଲାବାନ ଗନ୍ଧୀ-
ବା ଦାକ୍ଷାରଗୁଲି ଶେନ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ପିଲାନ୍‌ଟ୍ରି ମହାତମିରେ ତାମୀର ସାଧଗମ ଓତାକିମି.

ଶେନ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ପିଲି ମେହରୀ ଫଳ୍‌ପାତା.

ଛିଲ୍ଲାବ. ଲାଙ୍ଘନିଦିନି ଶ୍ରୀପ ଗୁମିନଦେଲି ଶେନ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ପିଲି ନ୍ତର ଦା
ଫାତ୍-ଦା-ଖାନ୍‌ପି ଅନ୍ତରକ୍ଷେତ୍ରରେ. ନିମିଳ ମାତ୍ରମନ୍ଦିରାଦ କ୍ଷୁଦ୍ରିତ କିମି ମିଳି
ଅମ୍ବାନାଗ୍ରେ ଗିରାରିବି.

— ତେବେନୀ ଦା ମହାରାଜ, କାପା! ହା ଦାଖିରା ଶେନ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ପିଲାନ୍‌ଟ୍ରି. ଏହି-
ତେବେନ୍‌ଦା ଗିରାରିବି.

— ହା ଯନ୍ତ୍ରା ଦାମରିହେବନ୍ଦା?! ମିଶ୍ରଗା କାଶିରାନ ଦା ପୁତ୍ରବାନ:
ମୋହି, ତୁ ହାମେ ଦାଖିରା?

— ହରଗାନ ଆହା—64 କ୍ର. ଗ୍ରେନ୍‌ଗ୍ରେନ. ଲୁଲ ଶେମିଲାବାଲି ପ୍ରିୟ
26 ମାନ. ଦା 26 କ୍ର.; ଆକ୍ରେଦାମ 25 ମାନ. ଦାକାରାଜା. ଦାନାରିହେବନ୍ଦି ନା-
ବ୍ୟୋକାରି—64 କ୍ରାଚ. ଗ୍ରେନ୍‌ଗା ଶେନ୍‌ବାନ—ମିଶ୍ରାଶ୍ରୀ କାଶିରମା. ଆ ହା ଦାମ-
ରାଜା? କୋମ ଗାଗିବି?

— ଏହି କି ଆହାଫେରି ଶ୍ରୀଲି ଶେନ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ପିଲି ଗିରିବି.

— ହୁଁ, ଜାନି ଗାୟାରିଦେଖ, ଏହି କିମ୍ବା ଆହାଫେରି, ମାତ୍ରମ କା-
ର୍ଯ୍ୟାବନ୍ଦାନ ଯୁଠିବା, ମହାଶାର୍ପିତ୍ର, ମେହିକ୍ଷେ, ମେଲ୍‌ମେଲ୍; ପ୍ରସତ୍କାର:
ଲମ୍ବିତତା, ଦାମିତାର୍କ ମେତ୍କି ଦା...

— ମେହି ହରଗାନ ମହାରାଜ?

— ଦାମିତାର୍କ ଲମ୍ବିତତାର୍କ: ଶବ୍ଦବିନାମ, ମହାଦେଶ ହିତ୍‌ର ଶ୍ରେଣୀକାନ୍ତିରି
ଦା ଶେନ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ବିନ୍ଦିବା: «ଶ୍ରେଣୀକାନ୍ତି ଗାୟାରି ପାଲିବି ଗିରିବି ଦା ଗତକା-
ର୍ଯ୍ୟାବନ୍ଦି—ଶ୍ରେଣୀକାନ୍ତିରି...» ଅମ ଶେମିଲାବେଶେତ୍ରରେ ବିଶ୍ଵାର୍ଗିତାରେ, ମିଶ୍ରିଲ୍‌ଲ୍ୟ ହିତି ଶେ-
ନ୍ତ୍ରେନ୍‌ପିଲି ଦା ହିତିକି ଅମ୍ବାନାଗ୍ରେବିନିତ ଶ୍ରେଣୀକାନ୍ତିରି ଗାମିନ୍‌ଦିନିରେ. ମେହି କି ଆ
ମାତ୍ରମେଲ୍‌ମେଲ୍ ଶବ୍ଦବିନାମ ହିତିର ଶ୍ରେଣୀକାନ୍ତିରି, ଅମ ଏହି ମହିମାପାରିବା. ଅମ
ଦିଲ୍‌ଲ୍ୟିତ ଗାମିନ୍‌ଦିନିରେ, ତୁ ଆହା, ହିତିର ଶ୍ରେଣୀକାନ୍ତିରି ଶେନ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ବିନ୍ଦିବା,
65 କ୍ର. ଅଲାରା ମେହିବାନ୍ଦା. ଆ, ଦିନାନ୍ତି, ଶେନ୍‌ଟ୍ରେନ୍‌ପିଲି! ହିତି ଶ୍ରେଣୀକାନ୍ତିରି
ଦା ଆମାଜିନ୍‌ପିଲିବା.

— ესი ბრალია, მათ? ენ იცოდა თუ შენი ბენეფიციენტი
N-ს ქორწილი ექნებოდათ? ქორწილი რომ არ ყოფილიყო « სრუ-
ლი შემოსავალი » იქნებოდა. ბედმა არ იმუშავა, მათ, ბედმა!
ამ დროს სასტუმროს სარბიკელიდამ მოისმა ფეხის ხმა და ლაპა-
რაკი.

— ეს კიდევ არაფერი. უბედურება ვგონებ ეხლა ახლოვ-
დება.

— გეუბნებიან, რომ სახლში არ არისო! მოიხმა გარედამ
ხმა.

— სტუუი! ჩუქრუტანიდამ მოხანს, რომ ლოგინში წევ!
«ბატონი, კარი გამიღეთ». შემოსძახა მოსარეცხედ.

— ეშმაკმა წაილოს შენი სულ-ხორცი.

— ფულისთვის გიახელი!

— ლაიკარგე!..

— მაშ არ მომცემთ? ბენეფისმა ხომ მოვცათ?

— დაიკარგე მეთქი!

— შხამათაც შეგერებება შენ ჩემი მანეთი! შე უსტინდისხ
შენა... (დედა კაცი წავიდა.)

— თელო! გასძახა გასილმა შსახურს.

— რა გნებავს?

— შენ ეცალე, ურია არ შემოუშვა! სულ ცემით გააგდე, თუ მოვიდის.

— ცემას რას მემართლებით, ბატონი? მოისმა გარედამ ურიას ხეს.

ვასილს შერცხვა და გორგიმ სიცილი ვერ შეიმაგრა.

— მე მოვედი ცოტა ოდენი ფული მივიღო!

— ფუტლი არა მაქვე!

— როგორ არა გაქვს? მაში ბენეფიცი სად წავიდა?

— არა მაქვს, არა! დაიკარგე აქელამ, გესმის?!

— რათ დავიკარგო? თუ ფული არა გაქცეს, რაც წამოა-
ლე ის მაინც დამიბრუნეთ და თქვენი სხვა არა მინდა რა.

— დიან, მეტი საფიქრებელი არა ფერი აქვს კ—ც? რა სულელი მნახა?!

— მაში არც ნაყიდს მაძლევეთ და არც ფულს? გრუმენისა?
დეს, ბატონი, გრუმენიდეს!

— კარგი, ბევრს ნუ ყმედობ! დამეკარგე მეოქი!...

— მე ვიცი სადაც წავალ! მომრიგებელ-მოსამართლესთან
წავალ და გიჩივლებ.

— მიჩივლებ? მე ვიცი შარვალი არ გამხადო! რაც არა
მაქს რას წაიღებ? სჯობს კიდევ მოიცადო. ორი კვირის შემ-
დევ სანახევრო ბენეფისი მექნება და მაშინ მოგცემ, გასძახა
ვ—მა.

— ბატონი, ბატონი! მოისმა მედუქნი, ბოხი ხმა.

— ოჟ, დასწავლოს ღმერთმა თქვენი სახსენებელი! გიორ-
გი წავიდეთ აქედამ, თორებ მოსენებას არ მოგცემენ...
აჲა, მე მივდივარ და ეხლა ეშმაკებს სთხოვეთ თქვენი ფუ-
ლები.

ა. სუნავლი

სიმართლის მოყვარული.

კომედია ერთს მოქმედებად.

(თარგმანი)

მოქმედნი პირნი:

ჰავდლე, ნასწავლი ქვრივი.
სვიმონ, სამსახურიდგან გადამდგარი.
ბარბარე, ამისი ცოლი.
არჩილი.
ნინო, გამდელი.
სიკო, პავლეს მოსამსახურე.

გამოსვლა I ჰავდლე.

ჰავდლე. (ხელში სამართლებელი და ტილო უჭირავს) გუ-
შინ ასალი სამართლებელი ვიყიდე, ქერა ინგლისელი მარწმუნებ-

და, რომ სულ სხვანაირად ჰყარსავსო, მართლა და სხვანაირად ჰყარსავს: გუშინდელს აქეთ გიპარსამ და ჯერ ერთი ბალანიც ვერ მომიჭრია. ამის შემდეგ უნდათ, რომ მე კაცობრიობა მიყვარდეს, არა, გმადლობთ. ყველან ტყუილი, სიცრუე, სიფლიდე და ქურდობა. მაგალითად გუშინ გამოვედი თუ არა კარში, ჯერ სამი ნაბიჯი არ გადამედგა — ცხვირსახოცი ამომაცალეს ჯიბიდებან, წავედი სასყიდლად, ვკითხულობ: «**პროდაჯა ნეაზ ვაპრისი:**» ძალიან კარგი, ამოვარჩიე რომელიც მომეწონა, და ვკითხე ფასი-მითხრეს; მე ცოტა მედვირა და გამოვბრუნდი, ვნახოთ ყმაწვილი მომდევს და მომყვირის თქვენ-თქვენი ფასი ბძანეთ, იქნება გიხათროთო და მართლაც ნახევარზე ჩიმოვიდა, ეხლა წარმო-იდენეთ ჩემი უბედურება! ვაძლევ თუმნიანს, რომლის ხურდაც ისე გაუშინჯავათ ჩავიყარე ჯიბეში. გზაში მაინც დავთვალე და წარმოიდენეთ — ოთხი აბაზი მაკლია, დაებრუნდი ისევ მაღა-ზიაში იმ აზრით, რომ გამოვართვა რაც დამაყლეს. ეხლა რა-გონიათ? რა მითხრეს? მომიბრუნდა ის პატარა ბიჭი და მეუბ-ნება ალბათ სხვაგან საღმე გიყიდნიათო, ჩვენ პირველად გხედამთო. რაღა მეთქმის. ამის შემდეგ, შემიძლიან წარმოვიდგინო რომ ქვეყანაზე არის იმისთანა ხალხი, რომელშიაც ცოტაოდენი სი-მართლე მაინც იპოვებოდეს? ერთი სიტყვით არა ღირს თქვენთან საქმის დაქრება (იღებს გაზეთს) დღევანდელ №-ში ძალიან საინ-ტერესო განცხადება უნდა იყოს და არვიცი არის თუ არა... აი როგორ არა (კითხულობს) 15 ამ თვეს დაიკარგა პატარა უბის წიგნი, რომელშიაც იყო ასი თუმანი ფული, ვინც იპოვის და მოიტანს № სახლში, კოლომანის ქუჩაზე, — კარგად დავასა-ჩუქრებ. როგორ არა, ბარებ მოვამზადო კიდეც ჯიბე, ეხლავ მო-მიტანენ; ნეტა იმ ფულთან ისიც არ დამეკარგა რაც გაზეთში გამოსაცხადებელი წამართვეს. (რეგუ ზარს და უვირის) ეი, ბიჭო, სიკო!

სიკო. რას მიბძანებთ?

პავლე. გუშინ რა ბძანება მოვეცი?

სიკო. უნდა მევლო და მეპოვნა თქვენი წიგნი.

პავლე. შენც, რასაკვირველია, მთელი დღე ეძებე, მაგრა
რამ ვერ იპოვე!

სიკო. დიახ ბატონო!

პავლე. მაში სასარგებლო არარი სამისტანა მოსამსახურე ხახლ-
ში? გუშინ რამდენჯერ იყავ დუქანში?

სიკო. არც ერთხელ ბატონო!

პავლე. მაში მთელი დღე მშიერი იყავ?

სიკო. დიახ ბატონო!

პავლე. ხომ მთერალი მოხვედი?

სიკო. დიახ ბატონო!

პავლე. მაში როგორ მატყუებ, შე წუწკო, შენა?

სიკო. რათა ბატონო, დუქანში კი არა და ტრახტირში
კი ოთხჯერ ვიყავი.

პავლე. ჰო, ეგრე, აი რაღანაც მართალი სოქვია ჰა, არაყი
დალიე.

სიკო. დიდი მაღლობელი გახლავარ შენი ჭირიშე (იქით)
სხვა უამისო ამისტანა მართლის თქმისთვის სილას გამარტიუმ-
და და ეს ფულებსაც მაძლევს!

პავლე. სიმართლე ყველას მირჩევნია ქვეყანაზე, ვეძებ,
ვეძებ, მაგრამ ვერსად ვერ მიპოვნია.. მაში დაიკარგა ჰა, ჩემი
წიგნი?

სიკო. რასაკვირველია დაიკარგა, თუნდა იპოვნოს კიდევ
ვინმებ რათ იტყვის!

პავლე. კარგი ნუგეშია, თქვენში შეემ; სწორეთა სოქვი,
შენ რომ გეპოვნა ხომ არ გამოაჩინდი?

სიკო. რათ გამოვაჩინდი?

პავლე. ეს ყალბობაც არის და სიმართლეც, რატომ არ
უნდა გამოვეჩინა, ერთი შითხარი, ჰა?

სიკო. იმიტომ ბატონო, რომ შეც მოვრალი გახლდით;
ან მამპარამდნენ ან მე თითონ დავკარგამდი და აბა რაღას გამოვა-
ჩინდი?

პავლე. მართლია, მართალი, თუმცა ლოთი ხარ, მაგრამ

მაინც კიდევ ყველა ჩემს მოსამსახურებს, სჯობიხარ. გაიგე რა გითხრა, მე რომ ეხლა არშიყობა დაეიწყო, როგორ გვონია შეიძლება კიდევ ვისმეს მოვეწონო?

სიკო. რას მიბძანებთ ბატონო, მე თქვენზე უარესებიც მინახამს, რომ მოსწონებოდეთ.

პავლე. (ლიმილით) მართალია; ცოლის შერთვა რომ დავაპირო?

სიკო. მაგისი კი რა მოგახსენოთ, მგონი ეგ კი თქვენი საქმე არ იყოს.

პავლე. რატომ?

სიკო. იმიტომ, რომ ეითომ თქვენი პირელი ცოლი... მაგრამ ან რა საკიორველია მე სრულებით დამვიწყდა, რომ თქვენ ძალიან კეთილი გულისა ბძანდებით!

პავლე. მიჰქარამ, მე სრულებითაც არა ვარ კეთილი გულისა, გასწი დაიკარგე!

სიკო. რათ მაგდებ ბატონო?

პავლე. იმიტომ რომ მატყუებ, და ხომ იცი რამ მე ძალიან ძეჯავრება ვინცა ტყუის. მოიცა, თუ გუშინდელი ბებერი მოვიდეს უთხარი შინ არ არის თქო (სიკო მიღის) თავი მომაბერა ამდენი თხოვნით. სულელი, არასაიდამა ვარ, ერთი მითხარით, გულ-კეთილი?

გამოსკვლა II იგივე და ნინო

ნინო. ბ-ნო პავლე, მოგილოცამთ დაბადების დღეს!

პავლე. ეს კი არ არის ჭყვიანი! ძალიან მისარიან შენი თავის შეემ ჩემი დაბადების დღე.

ნინო. მე გიახელით შეგატყობინოთ, რომ დღეს ჩეენ სტუმრები აღარ გვეყოლებიან.

პავლე. გვეყოლებიან, ნუ გეშინიან არ დაავიწყდებათ. მუქთია, ისინი ამისთანა შემთხვევაში და ქელებში ერთნაირ მაღილით მიღიან ხოლმე, მაგრამ მე იმათ ჩაით და ქალალდის თამაშობით უნდა ვცხე პატივი.

ნინო. მაშ ზაკუსკას ნუ რა ფერს მოვამზადებთ?



ვაკლე. 12 საათზე ჩაკუსკის მაგივრად პალტოები და ქავეულებრივი ლოშები მიართვით და მამეცალნენ.

ნინო. მაშ დღევანდელი სადილი ჩვეულებრივ მოვამზადოთ?

ვაკლე. თუ შეიძლება ჩვეულებრივსაც დააკელ.

ნინო. ბატონი ბძანდებით, მართლა, კინაღამ დამავიწყდა. სეიმონს წელან წერილი გამოეგზავნა, მაგრამ თქვენ გეძინათ და ვერ გაეძედე გამელვიძებინეთ.

ვაკლე. (კიოხულობს) მოგილოცავ ჩემო საყვარელო მეგობარო საყვარელო მეგობარო, პირველ სტრიქონშივე-ტყუილი, მაგისთანა მეგობრები აქ ბეჭრი მყავს ჩამოსახრჩობი. «გუშინ ჩემს ცოლს გამოუტხადე შენი დაბადების დღე და უთხარი დაპატიჟებული ვარ მეთქი, მეც დიდის სიმოენებით წამოვიდოდით, თუ ეს ბ-ნს პავლეს საწყენად არ დარჩებაო». ომ, როგორ შეიძლება წყნა, რა კარგი დედაკაცია, ამას თავის დღეში არ მოველოდი; მაშ ის მოვა? გაიგე ნინო! მართლა, უვახშმოთ მგონი რომ არ შეიძლებოდეს!

ნინო. რასაკვირველია არ შეიძლება.

ვაკლე. მართალია, მაშ უბძანეთ ვახშამი მოამზადონ, მაგრამ ისე, რომ ყველასათვის საკმარისი იყოს. თუმცა ძალიან მეჯაერება საზოგადოთ ხალხი, მაგრამ არ მინდა, რომ ძუნწს მეძახდნენ (ნინო გადის)

გამოსვლა III იგინივე და სკომრი.

ვაკლე. მაშ დღეს ჩემი ბარბარე მეწვევა, ჰა! ძალიან კარგი. აი ეგ ის ერთად ერთი დედაკაცი, რომელსაც მინდა რომ მოვწონდე. მე თითონ უნდა წავიდე იმასთან და მადლობა გადავიხადო ამისთანა ყურადღებისათვის. სეიმონმა სრულებით არ იცის თავის ცოლის დაფასება; როგორდაც სულელიც არის, ტუტულიც და მგონი ცოტა იჭეიანიც.

სკომრა. აი მეც აქა ვარ. შენ რასაკვირველია არ მელოდი ასე აღრე, მოგილოცამ, ჩემო მეგობარო, მოგილოცამ!

ვაკლე. გმადლობთ!

სვიმონ. დიდი ხანი ველოდე ჩემი წერილის პასუხს, მაგრამ ველარ ველირსე, ვითომ ჩემს ცოლს სურდა გაევო ხომ მეტი არ იქნებოდა თქვენს სტუმრებ შორის.

პავლე. რა კითხვა ერთი მითხარი, ეხლა მე თითონ მოვ-დიოდი თქვენთან მადლობის გადასახდელად.

სვიმონ. კარგი ერთი, ჩეენში «ცერემონიები» რომ არ გამოდგება? მედარწმუნებული ვარ, რომ შენ ყოველთვის აფასებს ჩემ მეგობრობას და ჩემი ცოლის ყურადღებას. შენ ხომ კარგად იცი, რომ ჩემს ცოლს არ ვაძლევ ნებას არ საღ წას-ვლისას უჩემოდ. ეს სულ იმით მომდის, რომ საშინელი იჭვანი ვარ, მეტადრე მას შემდეგ, რაც შენი მაგალითი ენახე...

პავლე. ეს, ვინ გეუბნება მოიგონეო.

სვიმონ. უკაცრავათ, ისე, სიტყვამ მოიტანა. დიახ, მე არა ვმალავ, რომ, იჭვიანი ვარ, მაგრამ უნდა იცოდე, რომ ჩემი იჭვიანობა უადგილო არ არის ხოლმე. აი მაგალითად შენზე თავის დღეში არ შემოვიტან ეჭვს.

პავლე. (წყენით) რატომ?

სვიმონ. ჯერ იმიტომ, რომ შენ საზოგადოთ არა ვინ მოგწონს და მერე იმიტომ, რომ მე და შენ მეგობრები ვართ.

პავლე. მეგობრები, აბა კიდეც ამისთანა მეგობრობა ჩას-ტებს ხოლმე აი!

სვიმონ. მესმის, მაგას შენ თავზე ამობ, მაგრამ ეგეც შენი ბრალია, რისთვის შეიჩიდე ახალგაზდა ყმაწვილები, ისინი რა მეგობრობას გაგიწევდნენ.

პავლე. შენ თუ მე არ გადომჟვდი ხომ არ იქნება.

სვიმონ. ახ, უკაცრავათ შენი ჭირიმე, ვიცი, რომ ჩემგან არ გეწყინება. რა ვქნა თითქოს გაყმაწვილებულხარ სახეზედ, ასე მგონია ერთ იცს წელიწადს უკან დაუწევნიაო.

პავლე. (იქით) დაიწყო ქება, ეტყობა ფული უნდა სასესხებლად.

სვიმონ. იცი რა გითხრა ჩემი მეგობარო, მე შენთან საჭირო საჭმისთვის მოვედი და იმედი მაქვს, რომ გავაკეთებ კიდეცა.

პავლე. აյი მოგახსენეთ, მაშინვე ვიცოდი.

სვიმონ. არ შეიძლება ცოტა ოდენი ფული გთხოვო?

პავლე. მაშინვე ვიგრძე, რომ მუქთად არ მაქებდი, ვნახოთ რას დააფასებ მაგ შენს ქებას?

სვიმონ. მე მიჰირს სწორეთ ასი თუმანი და ამ სამ თვეს უნდა მადროვო.

პავლე. სწორეთ მოგახსენო, ძალიან ძეირია.

სვიმონ. დღეს, რაღაცა მიზეზებისა გამო, ჰყილიან შშენიერ ცხენებს, ყავის ფერები არიან ორივენი; მივეცი პატიოსანი სისიტყვა, რომ ერთს საათს უკან მოგიტანთ მეთქი ფულს, და იმედი მაქეს რომ არ გამამტუნებ.

პავლე. უკაცრავათ კი და არა მაქ ამ ფამად ხელში, თორ-რემ ღიღის სიამოენებით.

სვიმონ. მაინც შენ უფრო იშოვნი სადმე, ოჟ! რომ იცოდე რა ცხენებია, გამაგიქეს სწორეთ გამაგიქეს, მე ხომ იცი ძეელი «კავალერი», ვარ. ცხენების გულისათვის მზათა ვარ მთელი ქონება გავაფუჭო.

პავლე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

სვიმონ. ხუმრობა იქით იყოს და ნახევარ საათს უკან შემოვიდო და იმედი მაქეს მზათ იქნება...

სვიმონ. კარგი ვეცლები და...

სვიმონ. არა სწორეთ მითხარ, პატიოსანი სიტყვა მამეცი,

პავლე. ოჟ, რა საზიზღარია; შენ არ იცი, რომ პატიოსანი სიტყვა ყველას მირჩევნია ქვეყანაზე? მეტადრე შენს ვექსილი და წერილებს. თუ დარწმუნებული არა ვარ, როგორ მოგც პატიოსანი სიტყვა?

სვიმონ. ჴო, მივხვდი რაზედაც ყოვმანობ, ჩემზე ცოტა-დენი წინანდელიც არის დარჩენილი; არა უშავსრა ერთად გავისწორდები; ესე მაშ ნახევარ-საათს უკან შემოვიდო, გესმის, როგორ დარწმუნებული ვარ შენში? ოჟ, რა კარგი და პატიოსანი მეგობარი მყევხარ, მშეიდობით! (გადის)

პავლე. კარგი მეგობრობაა სწორე მოგახსენოთ, ჯერ ძეელიც არ მოუცია და კიდევ სხვას სესხულობს, რისთვის უნდა

ვასესხო იმისთვის, რომ მეგობარს მეძახის? ეჭ, დღეს სწორეთ ორმოცდა ათის წლისა შევსრულდი. არა, კაცმა რომ ნახევარი საუკუნე იცოცხლოს ქვეყანაზე და კაცთან უშიშრად ვერ დაი-ჭროს საქმე, ეს რა სიცოცხლეა, მოდი და ამის შემდეგ იწა-მე ქვეყანა.

(უმდეგი იქნება)

სრული სია დრამატიულ თხზულებათა ქართულს ენაზე
 შეკრებილი და შედგენილი ქართული დრამატიული დირას არტისტის
 კ. ახაშიძის მიერ.
 (გაგრძელება) *

დ.

დავა, ანუ ტოჩქა და ზაპარტაა (Тяжба, или точка и за-
 птая) ქამედ. 5 მოქმედ. თხზ. გ. ერისთავისა. (დაბეჭდია
 ცალკე წიგნათ 1885 წ.)

დავიდარაბა, ანუ ორდანთ და ღევგვ (Откуда сырь-борь
 загорѣлся) ქამედ. 4 მოქმედ. თხზ. მედიაკისა და ქალევისა.
 ფრანგულიდამ გადმოჲ. დ. ერისთავის-მიერ. სელინაწერია 1879 წ.

დავით აღმაშენებელი (Давидъ Возобновитель) ისტო-
 რიული ტრადიცია 5 მოქმედ. თხზ. ა. ორბეგიანისა. (სელინაწერია
 1834 წ.)

დაკრტილ კარებთან (Узапертыхъ дверей) სცენა-მოხთ-
 ლოდი. რუსულიდამ გადმოთარგ. პ. საფაროვი-აბა შიძის-მიერ. (სელი-
 ნაწერია 1879 წ.)

დალალ დალო (Далаль Гаго) ქამედ. 1 მოქმედ. თხზ.
 ტერ-აბელ სუქიასიანცისა. სომხურიდამ ნათარგმნი №. ის (სელინაწე-
 რია 1880 წ.)

დამნაშავის ოჯახი (Семья преступника) დრამა 5 მოქმედ.
თხზ. ჭავაგომეტისა თარგმ. ი. ჭავანა მვალისა. (ხელთხაწერია 1881
წ.).

დანგრეული ოჯახი (Испорченная жизнь) დრამა 5 მოქმედ.
თხზ. ჩერნიშვილისა. გადმოკ. ი. გურუსელიძის მიერ. (ხელთხაწერია
1879 წ.).

დარია (Дарія) დრამა 5 მოქმედ. თხზ. გ. წერეთლისა
ხელთხაწერია 1879 წ.).

დარჩუა და პანკესა (Дарчо и Панкесь) კოდეკ. 1 მოქმედ.
რუსულ. გადმოკ. გ. ნასიძის მიერ. (ხელთხაწერია 1886 წ.).

დამთხვეული (Сорви-голова) კოდეკ. 4 მოქმედ. თხზ. მე-
ლიაკი და ჭალევისა. თარგმ. ა. ცაგარლისა (ხელთხაწერია 1886 წ.).

დატრიალიდა ჯარა (Сама себя раба бьетъ коли не-
сисло жнетъ) კოდეკ. 1 მოქმედ. თხზ. ზაზულინისა. თარგმ. გ.
უფაინისა (ხელთხაწერია 1882 წ.).

დაქცეული ოჯახი (Разоренная семья) კამედ. 3 მოქმედ-
დებად. თხზ. გ. სუნდუკიანცისა. სომხურიდამ სათარგ. გ. სუნდუ-
კიანცის, გ. აბაშიძის და კ. უიფაინის მიერ. (ხელთხაწერია 1881 წ.).

დედა და შვილი (Мать и сынъ) ეზოზოდი დაკით ადმაშენე-
ბელის დროიდამ 1 სცენად. თხზ. ი. ჭავჭავაძისა. (დაბეჭდილია
«ივერია» 1879 წ. № 7).

დედა რაყიფი ქალისა ***) კამედ. 1 მოქმედ. რუსული-
დამ გადმოთარე. გ. ავალიშვილის მიერ. (ხელთხაწერია 1794
წ.).

დედაგაცმა თუ გაიწია, ცხრა უდელ ხარზე უმძღვავ-
რესია (Капризница) კამედ. 2 მოქმედ. თხზ. რ. ერისთავისა
(დაბეჭდილია «ცისქარი»)

დიდი მოურავი (Великий моуравъ) ისტორ. ტრადიცია
5 მოქმედ. თხზ. ა. ფურცელაძისა. (დაბეჭდილია ცალბე წიგნად
1884 წ.).

***) ეს პიესა წერა კიონგის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნათ სა-
ცოვშია.

დღისა ქორწილის შემდეგ (Утро послѣ свадьбы) ვოდევ.

1 ମର୍ଜନ୍ଦ୍ର. ଗାନ୍ଧିଙ୍କ. ୧. ମହିଳ୍ୟାରୀରୀରେ ମହିଳା. (ଫଲ୍ଗୁନୀଯାତ୍ରା ପ୍ରାଣୀରେ
ନିଃନୀତ ୧୮୮୧ ଫିଲ୍ମ)

დენიზა (Дениза) კამერ. 4 მოქმედ. თხ. ა. დაუმასი, ფრანგულიდამ. ნათარგმნი ე. დოროთეანიძის მიერ. (ხელთნაწერი 1886 წ.)
დემონი (Демоні) თხ. დემონისტროვისა, თარგმ. პ. გურა-
ელისა. (დაბეჭდილია «გრებული» 1872 წ. 6 წიგნი.)

დროებითი სიუვარ ული (До чоры до времени) გამდ. 2
მოქმდ. გადმოუ. დ. ერისთავის მიერ. (ხელითაწერა 1880 წ.)

୨୦୧୯୯୮ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ କାହାରେ କାହାରୁ କାହାରୁ

იმყოფება საპერნის ქუჩაზე, მთავარ-მმართობლის თანა-
შემწის სახლის გვერდზედ, პლექსანდროვის ბაღთან, თავის
საკუთარს სახლებში, № 4.

Ողյօն պատրիարքական սահմանագծ և այլ պատրիարքական սահմանագծ են պահպանվում Հայոց պատրիարքության կողմէն:

କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ରର ଦେଶମାର୍ଗିକୁ ପାଇଁ ଏହାରେ ନିର୍ମାଣ କରାଯାଇଛି।

Дозв. ценз. Тифл. 23 Октября 1888 г. Тип. Е. Хеладзе Сап. ул. № 4